საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/158

ქ. ბათუმი 20 სექტემბერი, 2021 წ.

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, 2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/84 დადგენილებით), ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის N01-02/149 ბრძანების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 19 სექტემბრის N942291 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 23, 24 და 27 სექტემბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება კანდიდატთა ელექტრონული რეგისტრაციისას წარმოდგენილი, წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული **დოკუმენტაციის დედნები და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 800 ლარის) გადახდის ქვითარი** (ხელშეკრულებები გაფორმდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N16).".

2. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირებთან **ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი:**

ა) მერაბ დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ამირან შარაძე - ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

გ) გოჩა სურგულაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

ე) ირმა დიასამიძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მტავარი სპეციალისტი;

ვ) მარიამ ბოლქვაძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ზ) თინათინ ჭიჭვეიშვილი - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

თ) ხათუნა გამყრელიძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ი) ზურაბ პაპუნიძე - ბსუ-ს მოწვეული სპეციალისტი;

კ) ნიკა დავითაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სტაჟიორი.

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე ასახვა და ასევე დარეგისტრირებული აპლიკანტების ინფორმირება (განაცხადებში მითითებულ მათ ელექტრონული ფოსტაზე).

4. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2021 წლის 27 სექტემბერს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ (ვიზირებული ფაკულტეტების დეკანების მიერ) წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**